28.12.11

პ.კუბლაშვილი. მოგესალმებით, კოლეგებო, III მოსმენით წარმოგიდგენთ ამ კანონპროექტს. გუშინ ჩვენ გვქონდა საუბარი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც, სხვადასხვა საექსპერტო ჯგუფებთან, ჩვენი პოლიტიკური ოპოზიციის, უმცირესობის, სხვა ფრაქციის წარმომადგენლებთან და გარკვეული დაზუსტებები ამ საკითხთან დაკავშირებით ასახულია ტექსტში, ეს დარიგებულია გასწორებული რედაქციით, თუმცა დღეს კვლავ გაგრძელდა კონსულტაციები და ბატონ აკაკი მინაშვილს ვთხოვ, რომ დააფიქსიროს ის შენიშვნები, რაც რედაქციულად შეიძლება შევიდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონში.

თავმჯდომარე. კი ბატონო, დარიგებულია. ნაწილს ეხლა არიგებენ, ნაწილი დარიგებულია, კი ბატონო, აქ არის გამრავლებული. III მოსმენაა, რედაქციული შენიშვნები თუ არის? პირველი.

ა.მინაშვილი. გამარჯობათ. გმადლობთ, ბატონო დავით. ჩვენ დღეს დილითაც გვქონდა კონსულტაციები კომიტეტზე, მათ შორის ინიციატორებს შორის და რამოდენიმე საკითხზე მინდა დავაფიქსირო პოზიცია, რომელიც შემდეგ ასახული იქნება კენჭისყრამდე. ე.ი. პირველი, ეს არ ეხება მე–5[1] მუხლს, რაც გულისხმობს იმას, რომ აქ საუბარია მოსყიდვაზე, თუმცა აქ უნდა დავაზუსტოთ გარკვეულწილად ფორმულირება, უნდა ვთქვათ, რომ ეს არ ეხება იმ ტიპის დანაპირებებს, რომელიც შეიძლება პარტიამ გააკეთოს მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საბიუჯეტო ხარჯებიდან, ამიტომ კონკრეტულად ეს უნდა დავაზუსტოთ, ეს იყო არასამთავრობოების შემოთავაზება.

პ.კუბლაშვილი. აქვე ვიტყვი, რომ დაახლოებით ესეთი ჩანაწერი უკვე არის, სადაც წერია, რომ გარდა დაპირებისა, რომელიც უკავშირდება საბიუჯეტო რესურსების სამომავლო განაწილებას, ოღონდ დაზუსტდება იმ შინაარსით რაც ბატონმა აკაკიმ ბრძანა.

თავმჯდომარე. კი ბატონო, რედაქციულად უფრო მკაფიო გახადეთ.

ა.მინაშვილი. ასევე 26[1] მუხლში, "ბ" და გ" ქვეპუნქტში, უნდა დაემატოს, საარჩევნო მიზნებისათვის, როდესაც იურიდიული პირი ახორციელებს რაღაცა საქმიანობას რომელიმე კონკრეტული პარტიის საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ საარჩევნო მიზნებისთვის უნდა გამოიკვეთოს, რომ მხოლოდ თუ აქვს საარჩევნო მიზნები მაშინ გავრცელდება მასზე ეს შეზღუდვები. ანალოგიური უნდა იყოს ფიზიკურ პირზეც, თუ ის მოქმედებს საარჩევნო მიზნებისათვის მაშინ გავრცელდება მასზე ეს შეზღუდვები. აქვე უნდა იყოს საუბარი, „გ" ქვეპუნქტში, როცა საუბარია ნათესაურ კავშირებზე, დაკავშირებულ პირებზე და ოჯახის წევრებზე, უნდა იყოს, რომ ამ ადამიანებსაც, დაკავსირებულ პირებსაც, ოჯახის წევრებსაც ან საქმიან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებსაც უნდა ჰქონდეთ ის, იგივე ტ.ჭ. საარჩევნო პოლიტიკური .....

პ.კუბლაშვილი. უნდა მოქმედებდნენ იგივე ....

ა.მინაშვილი. ეს, ეს არის ასევე უნდა გამოიკვეთოს, რომ სიტყვის თავისუფლებას არ ზღუდავს ნებისმიერი ეს რეგულაცია, რომელიც არის ამ კანონში და ასევე უნდა გამოიკვეთოს, რომ ეს ტიპის შეზღუდვები არ უნდა იქნას გამოყენებული სამოქალაქო აქტივობებისათვის, კონკრეტული ორგანიზაციების სამოქალაქო აქტივობებისათვის.

პ.კუბლაშვილი. ბატონო აკაკი, მე გთავაზობთ მაშინ, რომ ამ 26[1]-ს დაემატოს მე-3 პუნქტი, სადაც იქნება ჩაწერილი, რომ ამ მუხლის გავრცელება იურიდიულ პირებზე, ფიზიკურ პირებზე არ უნდა იქნას განხილული ისე, რომ ეს არის ასე ვთქვათ, გამოხატვის სიტყვის თავისუფლება ან პოლიტიკური პოზიციის დაკავებას კრძალავს ასეთი რაღაც არ უნდა იყოს და მეორეს მხრივ არ უნდა ზღუდავდეს სამოქალაქო აქტივობას, მე-3 პუნქტში შეგვიძლია რომ ეს ჩანაწერი ჩავდოთ.

თავმჯდომარე. კი ბატონო. ეს გაბნეულად არის, მაგრამ რედაქციულად შეგიძლიათ ერთ პუნქტში ჩაწეროთ ყველაფერი ისე, რომ იყოს უფრო მკაფიოდ.

პ.კუბლაშვილი. ზოგადი სულისკვეთება კანონპროექტის რა თქმა უნდა, ეს არის კანონპროექტის მიზანი არ არის, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის .....

თავმჯდომარე. კი ბატონო, გეთანხმებით და ეს გაბნეულად არის მაგას ვამბობ კანონში, მაგრამ თუ ერთად მოვუყრით თავს და ცალკე პუნქტს ჩამოაყალიბებთ რედაქციულად, კი ბატონო, ცუდი არ იქნება. მე-4, შემდეგ მე-5. ბატონო? ჯერ შინაარსობრივი განხილვა გვაქვს, გასაგებია, მაგრამ შუა შინაარსობრივ განხილვაში პროცედურაზე როგორ აკეთებთ განცხადებას, როდის შეიძლება პროცედურაზე, მაშინ, მაშინ შეკითხვა გქონიათ შინაარსობრივი და ჩაგირთავთ, ჯერ მე-4 და შემდეგ მე-5. კი ბატონო. თქვენი კოლეგა იდგა მიკროფონთან თქვენამდე ბატონო დიმიტრი. ჩავურთავ და შემდეგ თქვენ ჩაგირთავთ და დასვით პრობლემა არ არის.

პ.დავითაია. ბატონო პალიკო, 27[1] მუხლთან დაკავშირებით ჩვენ გუშინ ვთქვით, რომ 3 სამუშაო დღის ვადაში და აქ ისევ დარჩენილია 3 დღის ვადაში. აი ეს საკითხი. შემოწირულობის .....

პ.კუბლაშვილი. კი ბატონო, 3 სამუშაო დღის ვადაში,

პ.დავითაია, 3 სამუშაო დღის ვადაში

პ.კუბლაშვილი. 27[1]-ში შემოწირულობის შესახებ ინფორმაცია პარტიამ 3 დღის ვადაში უნდა ეწეროს 3 სამუშაო დღის.

პ.დავითაია. ხოდა, ...საკითხი კიდევ რაც შეეხება წარდგენას დეკლარაციის 1 თებერვლამდე რომ არის ვადა, ბატონო პალიკო, მუხლი 32, პარტიამ ყოველი წლის 1 თებერვლამდე უნდა წარადგინოს ეს მონაცემები, ჩვენ ვთქვით, რომ აღრევა რომ არ მოხდეს, თქვენ თქვით, რომ შემოგვთავაზებთ რაღაც ფორმას, რომელიც მე დავაყენე მაშინ საკითხი, რომ 1 მარტამდე გადავწიოთ-მეთქი, მაგრამ ნუ იგივე ფორმა დარჩა. მაშინ გამოდის, რომ 1 თებერვლამდე კონტროლის პალატა შეიმუშავებს. ხო, ასე.

პ.კუბლაშვილი. ჩვენ გვქონდა საუბარი გუშინ კონტროლის პალატასთან, რეალურად ფორმა იქნება ზუსტად იგივე, რაც გამოიყენებოდა მანამდეც,

ამიტომ ვადაში ეს არ გაიწელება და შესაბამისად კონტროლის პალატაც ოპერატიულად დაადგენს იმ ფორმატს სადაც საჭიროა, ისე, რომ პარტიებს ჰქონდეთ საშუალება წარადგინონ ეს ინფორმაცია.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე-5.

დ.ლორთქიფანიძე. გმადლობთ. მე სწორედ განხილვის პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით თ.კ. მაქვს შეკითხვა, როდესაც ბატონმა პალიკო კუბნლაშვილმა მოითხოვა 26[1] მუხლძე დამატებით მე–3 ნაწილის დამატებისა, რამდენად შეესაბამება ეს პროცედურას, არის თუ არა ეს უკვე არსებითად ახალი ნორმის გაჩენა ამ მოცემულ კანონმდებლობაში და შესაძლებელია თუ არა ეს III მოსმენით განხილული იქნეს ისე, რომ ამასთან დაკავშირებით არ გაიმართოს წინასწარი კონსულტაცია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დაიწყეთ განხილვა, გამოტანა III მოსმენის და ის არ იყო დარიგებული სხდომათ დარბაზში.

თავმჯდომარე. ბატონო პალიკო, პირველ ნაწილს, ალბატ, თქვენ უპასუხებთ. ფრაც შეეხება დარიგებას, გამრავლებული იყო, დარბაზში იყო და ფიზიკურად რიგდებოდა. ასე, რომ მე პრობლემას ვერ ვხედავ. ფიზიკურად ვინმე არის ისეთი, ვისაც არა აქვს ეს კანონი ხელში განხილვის დროს?

პ.კუბლაშვილი. ბატონ დიმიტრის მინდა ვუთხრა, ნუ, ეს დაზუსტდება, კეთდება სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი ოპონენტები დღეს კომიტეტზეც, მანამდეც მუდმივად მოითხოვდნენ, რომ აი ესეთი ფორმულირება პირდაპირ ჩაგვეწერა, რომ არ ყოფილიყო სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალება ან რედაქციულად სწორედ იმას გულისხმობს, რომ დაგვეზუსტებინა, რომ არ ვრცელდება რაღაც სხვა მიზნებზე და ამის მიზანი არ არის სამოქალაქო აქტივობის შეზღუდვა. ეს კანონპროექტში თავიდანვე იყო ჩადებული. ჩვენ ამას მუდმივად ვამბობდით, რომ ამ კანონპროექტის მიზანი არ არის სამოქალაქო აქტივობის შეზღუდვა. ეს საკითხი განხილულიც არის, ბატონო დიმიტრი და 3 მოსმენით კიდევაც კომიტეტმაც და პარლამენტმაც იმსჯელა უკვე. ამიტომ ახალი სიახლე აქ მე–3 პუნქტის შემოღების, უბრალოდ, გარდა იმისა, რომ მე–3 პუნქტი, 3–იანი დაიწერება და ქვემოდ იქნება ჩაწერილი ის შინაარსი, რაც აქამდეც იდო კანონსი, სხვა არაფერი არ შეცვლილა. ამიტომ თქვენი შენისვნა ცოტა მგონია, რომ ნაჩქარევადაა გაკეთებული.

თავმჯდომარე. გმადლობთ. პირველი.

დ.დარჩიაშვილი. ბატონო პალიკო, მე მგონია, წმინდა რედაქციული სტილისტური და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით შენიშვნა შეიძლებვა გავაკეთოთ, რომ მე–5[1] მუხლი და 25[1] მუხლის მე–4 პუნქტი რაღაცა შესაბამისობაში მოვიყვანოთ. იმიტომ, რომ ერთში ძალიან მკაფიოდ წერია, რომ ყველაფერი ეკრძალება, ყველანაირი საჩუქარი პარტიას და 25[1]–ე მე–4 პუნქტში წერია, რომ დღესასწაულების დროს 5000 ლარის ფარგლებში შეუძლია და ან მე... (ხმა დარბაზიდან. არ ისმის) ერთი წუთით დავამთავრებ. უბრალოდ მე–5[1]-ში იყოს მითითება 25[1]–ეზე და ეგ არის.

პ.კუბლაშვილი. ბატონო დიმიტრი, შეიძლება, რომ მითითება ბგავაკეთოთ ერი პუნქტიდან მეორეზე? თუ არ გავაკეთოთ. არა, მე მინდა გითხრატ, ბატონო დიმიტრი, რომ აღელვების საფუძველი ამ შემთხვევაში არა გაქვთ. ბატონო დავით, მიუხედავად თქვენგან დიდი პატივისცემისა, ალბათ, არ არის ამის დაზუსტება საჭირო და ტექსტში როგორც არის დარჩება ისე.

თავმჯდომარე. კი ბატონო. სხვა შენიშვნები არ არის. განხილულია ნ.ხ. კოლეგებს შევახსენებ, რომ რამდენიმე წუთში დაიწყება კენჭისყრები და ვთხოვ ყველას მობრძანდნენ დარბაზში. „ზოგიერ საკანონმდებლო აქტში ცვლილება". III მოსმენაა. უბრალოდ, გთავზობთ, რომ 2 წუთი დაველოდოთ, სანამ საორგანიზაციო არიგებს აღნიშნულ კანონპროექტს და სემდეგ დავიწყოთ განხილვა. კი ბატონო, დარიგებულია კანონპროექტი. შეგვიძლია დავიწყოთ „ზოგიერთ საკანონმდებო აქტში ცვლილებები" III მოსმენა. ბატონო პალიკო, დაიწყეთ.

პ.კუბლაშვილი. ზოგიერთ საკანონმდებო აქტთან დაკავშირებით ბატონი დიმიტრისთვის, რომელიც ასე აქტიურად კითხულობს ხოლმე ამ ტექსტებს სარესდაქციო დაზუსტებასთან დაკავშირებით. თუ შეიძლება, აი ტექსტში როდესაც წერია „გარდა დაპირებისა, რომელიც უკავშირდება საბიუჯეტო რესურსების სამომავლო განაწილებას" ეს იქნებ გადავიტანოთ შენიშვნაში და დავწეროთ, რომ ამ მუხლის მოქმედება არ ვცერდება დაპირებებზე, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს ხორციელდება პირების მხრიდან. მე მგონი, რედაქციულია და არ ვიცი, მაინც გავივლით ექსპერტიზას ბატონ ...

თავმჯდომარე. 1–ლი.

ა.მინაშვილი. რაც შეეხება მიღების საკითხს. აქაც ჩემი აზრით, რედაქციულია, ბრალეულობა რომ უფრო განმარტოთ, რომ გასაგები იყოს, რომ განზრახვა უნდა იყოს საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა ჩაიდინოს დანაშაული, როცა ეხება უკანონო ფულის მიღებას ან სხვა მატერიალურ რესურსის მიღებას. ამიტომ კიდევ უფრო რომ განვმარტოთ აი ამ მუხლში ეს ძალიან კარგი იქნება.

პ.კუბლაშვილი. ასევე შენიშვნაში, იქ სადაც გვაქვს საუბარი ამ თემაზე, შეგვიძლია.

თავმჯდომარე. გმადლობთ. სხვა შენიშვნები თუ არის III მოსმენისთვის რედაქციული. არ არის. განხილულია. გმადლობთ. და ბოლო კანონპროექტი დღევანდელი დღისთვის, ეს არის „პერსონალურ მონაცემთა დაცვა". ბატონ ლაშა თორდიას ვთხოვ. III მოსმენა.

ლ.თორდია. გმადლობთ, ბატონო დავით, პატივცემულო კოლეგებო. III მოსმენით წარმოგიდგენთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის პროექტს. რედაქციული ხასიათის ცვლილებები კანონპროექტში არ შესულა. ერთი რაც არის, რომ კერძო სექტორთან დაკავშირებით 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება აღნიშნული კანონის მოქმედება. თუ არის რედაქციული ხასიათის შენიშვნები მზად ვარ მოვისმინო. ნ.ხ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. თუ არის III მოსმენის შენიშვნები? არ არის. გმადლობთ. განხილულია. კოლეგებო, ამითი დღის წესრიგი ამოწურულია. გთხოვთ, მოვემზადოთ კენჭისყრებისთვის. რეპუტატებს გთხოვთ, როულად მობრძანდეთ დარბაზში. იწყება კენჭისყრები. სანამ დეპუტატები მობრძანდებიან, ბატონო ჯონდი, შეთანხმდით მთავრობასთან? მაგ თემაზე გინდოდათ თუ რამე სხვა საკითხზე? მე-5. ბატონო? სხვა თემაზე აბა როგორ ჩაგირთოთ ... აბა პროცედურაზე. კი, ბატონო. სინჯეთ ისე, რომ პროცედურა იყოს.

ჯ.ბაღათურია. ბატონო დავით ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" ითხოვს რეგლამენტით მინიჭებული უფლება 30 წუთი გამოიყენოს როგორც შემაჯამებელი გამოსვლა აი, ამ სესიის დახურვის და გთხოვთ, დაგვითმოთ ეს 30 წუთი იმისათვის, რომ შევაჯამოთ წლევანდელი წელი. გმადლობთ. ჟ.კ

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე წაგიკითხავთ 96-ე მუხლის მე-4 პუნქტს: „ფრაქციას, რომელიც არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში უფლება აქვს ერთი სესიის განმავლობაში ორჯერ ისარგებლოს 30-წუთიანი გამოსვლით. აღნიშნული საკითხი ფრაქცოას შეუძლია დააყენოს საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ ნებისმიერ დროს გარდა კენჭისყრის პროცედურისას. პარლამენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოუსმინოს მას." ბატონო ჯონდი, პრობლემა ის არის, რომ ჩვენ დაგვრჩა ერთადერთი საკითხი კენწისყრა და ცვენ გადავედით კენჭისყრის პროცედურაზე, რაც მე წეღან გამოვაცხადე. ეს რომ დაგეყენებინათ წინა საკითხამდე 2 წუთით ადრე, არანაირი პრობლემა არ იქნებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ უკვე კენჭისყრის პროცედურაზე გადავედით, სამწუხაროდ, რეგლამენტი ამის უფლებას აღარ მაძლევს. მე-5. ერთხელ გირთავთ და შემდეგ იურიდიულ დავაში გრთავთ იურიდიულ დეპარტამენტთან. კი, ბატონო.

ჯ.ბაღათურია. კენჭისყრის პროცედურა ჯერ არ დაწყებულა. საკითხის დასრულების შემდეგ. ანუ დასრულდა საკითხი, რომელიც ეხლა გამოჭქონდა ლაშა თორდიას და რეგლამენტით დავაყენეთ 30 წუთი, ბატონო დავით. პროცედურა კენჭისყრის ჯერ არ დაწყებულა. სანამ დავიწყებთ მანამდე ვითხოვთ 30 წუთს. არა მგონია, რომ ეს 30 წუთი ესეთი სადავო საკითხი იყოს, რომ ცვენ ვერ მოვითხოვოთ. თუ ამას მაინც, ე.ი. მაინც ასე დააყენებთ, მაშინ კენჭისყრის დასრულების შემდგომ მოვითხოვ ამ 30 წუთს, მაგრამ გთხოვთ ეხლა ნუ გავართულებთ ამ იმას, დასრულდა პროცედურა და ვითხოვთ 30 წუთს იმისათვის, რომ შევაჯამოთ მძიმე წელი, მძიმე 1 წელი, რომელიც თქვენი მმართველობის დროს გაიარა ჩვენმა ქვეყანამ. გმადლობთ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ ბატონო ჯონდი, სხვა საკითხი დარჩენილი აღარ არის, გარდა კენჭისყრის. ამიტომ რომ დაგეყენებინათ წინა საკითხამდე 2 წუთით ადრე, პრობლემა არ იყო, როგორც ერთხელ მოგეცით საშუალება ასევე შეუზღუდავად მოგცემდით საშუალებას მეორეჯერაც, მაგრამ აღნიშნულ სიტუაციაში რეგლამენტი ამის უფლება აღარ

გაძლევთ არც თქვენ და არც მე. მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, რომ 30 წუთი მოგცეთ და გამობრძანდეთ ნამდვილად და მძიმე წელი შეგიძლიათ შეაჯამოთ აქ დარბაზშიც, და დარბაზის გარეთაც, მაგრამ სამწუხაროდ რეგლამენტი ამის უფლებას აღარ გვაძლებს. თუ გაგაჩნიათ კიდევ კითხვები, გთხოვთ აგერ არის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი და გთხოვთ მასთან ერთად კიდევ ერთხელ გაიაროთ აღნიშნული საკითხი. დიდი მადლობა. კოლეგებს ვთხოვ მობრძანდნენ დროულად და მოვემზადოთ კენჭისყრებისთვის. მე-5 პროცედურაზე.

<u>დ.ლორთქიფანიძე</u>. მე მაინტერესებს იურიდიული დეპარტამენტი ადასტურებს თუ არა თქვენ მიერ ხმამაღლა გაცხადებულ ამ ინფორმაციას.

<u>თავმჯდომარე</u>. ადასტურებს.

<u>დ.ლორთქიფანიძე</u>. ანუ, ადასტურებთ იმას ბატონო ალეკო, რომ ბატონმა ჯონდიმ მას შემდეგ რაც საკითხი დასრულდა და მოითხოვა ფრაქციისთვის განკუთვნილი 30 წუთით სარგებლობის უფლება, მან დააგვიანა მხოლოდ 2 წუთით? ამ უფლების გამოყენების მოთხოვნა? ამას ადასტურებთ?

<u>თავმჯდომარე</u>. ერთი წუთი ეხლა,

<u>დ.ლორთქიფანიძე</u>. ამას ადასტურებთ მე გეკითხებით პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ 2 წუთით დავაგვიანეთ თურმე განცხადების გაკეთება ჩვენთვის კუთვნილი დროით სარგებლობის უფლების მოთხოვნის შესახებ. თქვენ ამას ადასტურებთ იურიდიული დეპარტამენტი?

<u>ა.ტაბატაძე</u>. მე ვადასტურებ იმას, რომ პროცედურა არის კენჭისყრის და ამ დროს არ შეიძლება თქვენი ....

<u>დ.ლორთქიფანიძე</u>. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე</u>. გმადლობთ. რაც შეეხება ჩემ განცხადებას არ გვინდა ეხლა წვრილმანი ასეთი ინტრიგანული ინტერპრეტაციის მცდელობები ბატონო დიმიტრი, მე ვთქვი, რომ წინა საკითხის ამოწურვამდე თუნდაც 2 წუთით ადრე, საკითხის ამოწურვამდე რომ დაგეყენებინათ, პრობლემა არ

იქნებოდა. კიდევ ერთხელ ვადასტურებ ამას, იმის გამო, რომ დარჩა მხოლოდ კენჭისყრები ვეღარ მოგცემთ გასაგებია. კი ბატონო, მოვემზადოთ რეგისტრაციისთვის. თ.კ. კოლეგებო, გთხოვთ, მოვემზადოთ რეგისტრაციისთვის. გთხოვთ, ჩართოთ რეგისტრაციის რეჟიმი. რეგისტრაცია გაიარა 104-მა დეპუტატმა. გმადლობთ. კვორუმი არის. კოლეგებო, გთხოვთ, თანხმობას კენჭისყრის პროცედურის ჩატარებაზე. გმადლობთ.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" კანონის პროექტი. III მოსმენაა. ჩართეთ კენჭისყრის რეჟიმი.

მომხრე - 81 , წინააღმდეგი - 8

გმადლობთ, გადაწყვეტილება მიღებულია.

ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებები. III მოსმენაა. ჩართეთ კენჭისყრის რეჟიმი.

მომხრე - 80 , წინააღმდეგი - 0

გმადლობთ, მიღებულია.